



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



ბრძანება:ბ34.342208815

თარიღი:29/03/2022

შიდა კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესი“-ს 25¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით, გამოცხადდეს შიდა კონკურსი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. შიდა კონკურსის ჩატარება უზრუნველყოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიამ.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17).

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი

